ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1929 წლის ოქტომბრის 16.	№ 19 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 169. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ უწყებათა და დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებით 1929-30 საბიუჯეტო წლისთვის საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯების აღრიცხვის წესის შესახებ.

„ 170. ა/კსფსრ ტერიატორიაზე წარმოებული გეოდეზიური, ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული მუშაობის შედეგების ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოში თავმოყრის შესახებ.

„ 171. ინსტრუქცია „ა/კსფსრ ტერიტორიაზე წარმოებული გეოდეზიური, ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული მუშაობის შედეგების ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოში თავმოყრის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ივლისის 11-ს დადგენილების შეფარდების შესახებ.

„ 172. ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტებისა და უკუდაუბრუნებელი დაფინანსების წესის დებულების დამტკიცების შესახებ.

„ 173. სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში, კოოპერატიულ ორგანიზაციაში, სააქციო საზოგადოებაში და სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ შერეულ საზოგადოებაში სამსახურის შესახებ.

„ 174. „ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დეკრეტებისა და უკუდაუბრუნებელი დაფინანსების წესის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 25-ს დადგენილების დამატების შესახებ.

„ 175. „მუშათა ფაკულტეტების სტუდენტებისათვის სამუშაო დღის შემცირების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ს დადგენილების შეფარდების წესის შესახებ.

„ 176. შრომის დაცვის ღონისძიებათა შეუსრულებლობისათვის საწარმოთა ადმინისტრაციის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

„ 177. საბინაო კოოპერაციაზე „ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისა და ჯარების თანამშრომელთა და თავმდგომთა შედგენილობის საც-

ხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 19-ს დადგენილების 1-ლი მუხლის მოქმედების გავრცელების შესახებ.

„ 178. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

„ 179. ა/კსფსრ საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანის შესახებ.

„ 180. ა/კსფსრ სამრეწველო საწარმოთა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანის წესის შესახებ.

„ 181. ა/კსფსრ-ის სასაწყობო სადგომებით უზრუნველყოფისა და პურეული და სასურსათო ტვირთის გადაზიდვის მოწესრიგების შესახებ.

„ 182. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადაყვანის შესახებ.

დადგენილება № 167 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

169. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ უწყებათა და დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებით 1929-30 საბიუჯეტო წლისთვის საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯების აღრიცხვის წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტზე და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებზე მყოფ უწყებათა და დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებით საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯების აღრიცხვა 1929-30 საბიუჯეტო წლისთვის უნდა მოხდეს შემდეგ დებულებათა საფუძველზე:

ა) 1929-30 საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვებში არ უნდა იქნეს შეტანილი 1928-29 საბიუჯეტო წლის ხართაღრიცხვებით გათვალისწინებული ასიგნები ისეთი საჭიროებისათვის, რაც მხოლოდ ამ წელს იყო და არ განმეორდება წინამდებარე წელს, აგრეთვე ასიგნები ისეთი ხარჯებისათვის, რაც დაკავშირებულია სხვა უწყებისა და დაწესებულებისათვის გადაცემულ ფუნქციებთან (კერძოდ—ამა თუ იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად);

ბ) 1929-30 საბიუჯეტო წლისთვის ხარჯთაღრიცხვების შედგენის დროს საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯები, შედარებით 1928-29 საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვის ასეთსავე ასიგნებთან, შემცირებულ უნდა იქნეს 1928-29 წელს აპარატის რაციონალიზაციისა და ეკონომიის რეჟიმისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა მიხედვით და აგრეთვე იმ სათანადო ღონისძიებათა მიხედვით, რაც გატარებულ უნდა იქნეს 1929-30 საბიუჯეტო წელს;

გ) ასიგნები ახალი საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯებისათვის შეიძლება შეტანილ იქნეს უწყებათა და დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებში, უკეთუ ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოების მიერ გამოტანილ იქნება სათანადო დადგენილებანი იმ მომენტისათვის, როდესაც ხარჯთაღრიცხვები განიხილება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) უწყებათა და დაწესებულებათა საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯების ასიგნების საერთო თანხა 1929-30 წლის ყველა ხარჯთაღრიცხვით, ახალი ხარჯების ასიგნების ზედდართვით, არ უნდა აღემატებოდეს, ყოველ შემთხვევაში, საერთო-ფედერატიული ბიუჯეტით და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი თვითეული რესპუბლიკის ბიუჯეტით 1928-29 წლისთვის გათვალისწინებულ საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯების სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებათა საერთო თანხას.

2. დაევალოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპენქციის სახალხო კომისარიატთან ერთად, ერთი კვირის ვადაზე, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის და, ამისდაშესაბამისად, გაავრცელოს 1-ლ მუხლში აღნიშნული წესი სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვების შედგენაზედაც.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ივნისის 27. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 168 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

170. ა/კსფსრ ტერიტორიაზე წარმოებული გეოდეზიური, ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული მუშაობის შედეგების ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოში თავმოყრის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სათანადო დაწესებულებებს (სამხედროთა გარდა) აძლიონ ხოლმე ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოს, მისი განცხადებისამებრ, სრული ცნობები მათ მიერ შესრულებულ ასტრონომიულ-გეოდეზიურ, სანიველირო, ტოპოგრაფიულ, საგადამღებო და კარტოგრაფიულ სამუშაოთა შესახებ; აგრეთვე დაევალოს მათ დაუბრკოლებლივ მისცენ ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოს შესაძლებლობა გადაიღოს ასლები ზემოაღნიშნულ სამუშაოთა მასალებისა.

2. ამიერკავკასიის გეოდეზიური სამმართველო მოვალეა მომსახურეობა გაუწიოს გეოდეზიურ და ტოპოგრაფიულ საქმეთა სფეროში ყველა დაწესებულებას და აძლიოს მათ, შეგროვილი გეოდეზიური, ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე, სრული ცნობები.

3. ამიერკავკასიის გეოდეზიური სამმართველოს გეოდეზიური, ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიულ მასალების შენახვას, გაცემას და გამოცემას აწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოებს თვით ამიერკავკასიის გეოდიზიური სამმართველო მთავრობის არსებულ დადგენილებათა მიხედვით.

4. დაევალოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, დაინტერესებულ უწყებებთან ერთად, შეიმუშაოს და გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ივლისის 11. ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 52 ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი.

1929 წ. აგვისტოს 31. ქ. ტფილისი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 11-ს დადგენილების განსავითარებლად ამასთანავე ცხადდება სახელმძღვანელოდ და ზედმიწევნით შესასრულებლად ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ინსტრუქცია „ა/კსფსრ ტერიტორიაზე წარმოებული გეოდეზიური, ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული მუშაობის შედეგების ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოში თავმოყრის შესახებ“.

ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გულოიანი.**

საადმინისტრაციო-საფინანსო განყოფილების
უფროსი **შიხმანი.**

171. ინსტრუქცია ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი.

1. ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოს დაკისრებული აქვს ყოველგვარი უკვე შესრულებულ ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ სამუშაოთა მასალებისა და შემდეგში შესასრულებლად საგულვებელ სამუშაოთა ცნობების შეკრეფა, შესწავლა და სისტემატიზაცია და აგრეთვე საუწყებო გეოდეზიურ სამუშაოთა შედეგების სახელმწიფო კარტოგრაფიისათვის გამოყენება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მიხედვით ა/კსფსრ ტერიტორიაზე მყოფი უწყებანი და დაწესებულებანი (სამხედროთა გარდა) მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენი არიან დაუბრკოლებლად გადასცენ ხოლმე ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოს, აღნიშნული მიზნისათვის, ჩამოთვლილ სამუშაოთა მასალები.

აღნიშნული მასალების შეკრეფას ამიერკავკასიის გეოდეზიური სამმართველო აწარმოებს შემდეგი წესის მიხედვით:

2. ამიერკავკასიის გეოდეზიური სამმართველო გამოარკვევს უშუალოდ ყველა უწყებასა (სამხედროს გარდა), დაწესებულებასა და ორგანიზაციაში მათ მიერ შესრულებულ ან შესასრულებლად განზრახულ ტოპოგრაფიულ გეოდეზიურ სამუშაოებს.

3. ეს დაწესებულებები და ორგანიზაციები (მე-2 მუხლი) მოვალენი არიან ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოს შეკითხვაზე გადასცენ მას შესასწავლად მათთან დაცული რუქებისა, კატალოგებისა, გეგმების ასლებისა და სხვ. ეკზემპლიარები და შეატყობინონ სრული ცნობები მათ განკარგულებაში ქონებული გეოდეზიური მასალის თაობაზე ყველა იმ გეოდიზიურ სამუშაოს გამო, რაც მათ მიერ უკვე შესრულებულია და რასაც ისინი ამჟამად ასრულებენ, აგრეთვე აცნობონ ამ მასალების დამუშავებით მიღებული შედეგები.

4. შეკრეფილი ცნობების შესწავლისა და ამა თუ იმ მასალის კარტოგრაფიული მუშაობისათვის გამოსადეგობის გამორკვევის შემდეგ, ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ივლისის 11-ს დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად, უფლება აქვს გადაიღოს მასალის ორიგინალებისა და ასლების ასლები ამიერკავკასიის გეოდეზიური სამმართველოს საშუალებით.

მასალის ორიგინალების (ან ასლების) ხმარების ვადა და წესი განისაზღვრება ამიერკავკასიის გეოდეზიური სამმართველოს და სათანადო უწყების წინასწარი შეთანხმებით.

ორიგინალების გამოყენების შემდეგ ამიერკავკასიის გეოდეზიური სამმართველო მოვალეა დაუბრუნოს ეს ორიგინალები უკლებლივ, შეპირებულ ვადაზე, იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, საიდანაც მიიღო დროებით სახმარებლად.

5. უკეთუ საჭირო იქნება უფრო დაწვრილებით იქნეს შესწავლილი და შეფასებული გეოდეზიური მასალა იმ ადგილას, სადაც ეს მასალაა, ამიერკავკასიის გეოდეზიური სამმართველო წარავლენს თავის თანამშრომელთ ამ მასალის დასათვალიერებლად და შესასწავლად ადგილობრივ; ასეთ შემთხვევაში სათანადო დაწესებულება და ორგანიზაცია ხელშეუწყობს მივლინებულ პირთ მათთვის დაკისრებული საქმის შესრულებაში.

6. ცენტრალური საარქივო სამმართველოს და სხვა დაწესებულებათა არქივსაცავების საიდუმლო განყოფილებებში დაცული მასალის შესწავლა, აგრეთვე ამ მასალის ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოში გადაგზავნა და ამ მასალისავე თაობაზე ცნობების მიცემა სწარმოებს საიდუმლო მასალების შესახებ არსებული განკარგულებებისა და ინსტრუქციების თანახმად.

7. უკეთუ ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოს დასჭირდება ისეთი მასალა, რაც დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის საარქივო ნაწილში ხუთ წელიწადზე მეტხანს ინახება,—ამიერკავკასიის გეოდეზიური სამმართველო ამ სა-

კითხის გამო უნდა შეუთანხმდეს ცენტრალური საარქივო სამმართველოს ორგანოებს.

8. ამიერკავკასიის გეოდეზიური სამმართველო მოვალეა სხვადასხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციისაგან გამოსაყენებლად მიღებულ მასალას გაუფრთხილდეს, დაიცვას უკლებლივ, არავითარ შემთხვევაში არ დაშალოს ცალკეული საქმეები და აუნაზღაუროს დაწესებულებას თუ ორგანიზაციას დოკუმენტების გაფუჭებით თუ დაკარგვით მიყენებული ზარალი.

შენიშვნა. ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოს უფლება აქვს გადაიღოს მიღებული მასალის პირი ისეთი მეთოდით, რაც ზიანს არ მიაყენებს დოკუმენტების დედანს, ე. ი. ან ფოტო-მექანიკურად, ან ასლის გამჭვირვალე კალენკორზე შედგენით.

9. უკეთუ ამიერკავკასიის გეოდოზიური სამმართველოს მუშაობისათვის საჭირო იქნება სისტემატიურად და მუდმივად მოუყაროს თავი საარქივო მასალას, ამიერკავკასიის გეოდეზიური სამმართველო მოვალეა განსაკუთრებულად შეუთანხმდეს ცენტრალურ საარქივო სამმართველოს.

10. ამიერკავკასიის გეოდეზიური სამმართველო მოვალეა მომსახურეობა გაუწიოს მის მიერ შეგროვილი საარქივო მასალით ყველა უწყებასა და დაწესებულებას ა/კსფსრ ტერიტორიაზე.

დადგენილება № 164 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

172. ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტებისა და უკუდაუბრუნებელი დაფინანსების წესის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და 1929 წ. ოქტომბრის 1-დან სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს დებულება ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტებისა და უკუდაუბრუნებელი დაფინანსების წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ივლისის 25. ტფილისი—სასახლე.

დებულება ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტებისა და უკუდაუბრუნებელი დაფინანსების წესის შესახებ.

1. ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიან დაკრედიტებას, საამისოდ საჭირო სახსარის მოგროვებას და აგრეთვე აღნიშნული მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის დაფინანსებას უკუდაუბრუნებელი საბიუჯეტო ასიგნებიდან აწარმოებენ რესპუბლიკანური კომუნალური ბანკები.

შენიშვნა. რადგანაც აზერბაიჯანის სსრ-ში რესპუბლიკანური კომუნალური ბანკი არ არსებობს, ამა მუხლში აღნიშნული მიზნების განხორციელება შეიძლება დაეკისროს როგორც ადგილობრივ კომუნალურ ბანკებს, ისე სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ ფილიალებს.

2. ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიან დაკრედიტებას კომუნალური ბანკები განახორციელებენ:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების სპეციალური კაპიტალების ხარჯით;

ბ) მე-4 მუხ. აღნიშნული გრძელვადიანი ანაბარების ხარჯით;

გ) საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტით ადგილობრივი მრეწველობის დაფინანსებისათვის გადადებული სპეციალური ასიგნების ხარჯით (მუხ. 8).

3. ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების სპეციალური კაპიტალები თვითეულ ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოლქში, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის უმალლეს ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულში შეიქმნება:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტით ამ კაპიტალში გადადებული თანხებისაგან;

ბ) სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების 1927 წ. ივნისის 29-ს დებულების (სსრკ კან. კრ. 39 №-რი, მუხ. 392) საფუძველზე მომქმედი, ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტებისა და ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო სამრეწველო სააქციო საზოგადოებების მოგების ანარიცხებისაგან—ისეთი რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების 46 მუხლის „გ“ პუნქტში და სააქციო საზოგადოებების დებულების 134² მუხლში (სსრკ კან. კრ. 1928 წლის 42 №-რი. მუხ. 376;

გ) იჯარით გაცემული ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა საიჯარო სასყიდლის ანარიცხებისაგან არანაკლებ, ვიდრე 50%-ის რაოდენობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის უმოქმედო სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა და მათ გაწყობილობათა, აგრეთვე ტრესტების საწესდებო კაპიტალში შეუვალი ქონების გასხვისებით მიღებული თანხებისაგან;

ე) ამა თუ იმ კომუნალური ბანკის წმინდა მოგების ანარიცხებისაგან არანაკლებ, ვიდრე 10%-ის რაოდენობით;

ვ) ამა თუ იმ კომუნალური ბანკის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების ოპერაციებით მიღებული მთელი წმინდა მოგებისაგან (მე-14 მუხ.);

ზ) ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებამდე, ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთათვის მიცემულ სესხთა დავალიანების დასაფარავად მიღებული შემოსავლისაგან, მათ შორის—ადგილობრივი მრეწველობის დაფინანსების სპეციალური სამრეწველო ფონდიდან გაცემულ სესხთა დასაფარავად მიღებული შემოსავლისაგან;

თ) სხვა სახსარისაგან, რაც მთავრობის სათანადო ორგანოს დადგენილებით დანიშნულ იქნება ამ მიზნისათვის.

ამის გარდა, ადგილობრივი მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების სპეციალურ კაპიტალში გადაირიცხება ადგილობრივი მრეწველობის დაფინანსების სპეციალური სამრეწველო ფონდების ის თანხები, რაც გამოყენებულ არ იქნა სესხის გასაცემად, იმისდამიუხედავად, თუ რა ოპერაციებსა და რა ფასეულობაშია მოთავსებული ეს თანხები.

4. რესპუბლიკანური კომუნალური ბანკები მიიღებენ ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის დასაკრედიტებლად გრძელვადიანი ანაბარების სახით:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის დაფინანსებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადადებულ დასაბრუნებელ ასიგნებს—ბანკებსა და ადგილობრივ საბჭოებს შორის დადებული სპეციალური ხელშეკრულებების საფუძველზე;

ბ) 50%-ს იმ ანარიცხებისა, რასაც ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტები, „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების“ (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 39 №-რი, მუხ. 392) 46 მუხლის „დ“ პუნ. თანახმად, გადასდებენ საწარმოთა გაფართოების კაპიტალებში, და აგრეთვე ნაწილს იმ ანარიცხებისა, რასაც ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო სამრეწველო სააქციო საზოგადოებები გადასდებენ საწარმოთა გაფართოების კაპიტალებში, იმ შემთხვევაში,, როდესაც მათი წესდებით გათვალისწინებულია ეს კაპიტალები განსაზღვრული რაოდენობით;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტებისა და ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო სამრეწველო სააქციო საზოგადოებების საამორტიზაციო ანარიცხების ნაწილს, რაც განისაზღვრება „სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების“ (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 39 №-რი, მუხ. 392) 45 მუხლსა და „სააქციო საზოგადოებების დებულების“ (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 42 №-რი, მუხ. 376) 134[1] მუხლში აღნიშნული საფუძვლების თანახმად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) იმ სახსარს, რაც შემოვა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირთაგან მათთან დადებული შეთანხმებების მიხედვით.

5. კომუნალური ბანკები მისცემენ გრძელვადიან სესხს ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის საწარმოთ, რომელნიც მოქმედობენ სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების 1927 წ. ივნისის 29-ს დებულების საფუძველზე, ან სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა სახით, მშენებლობის საჭიროებათათვის და საბრუნავი სახსარის შევსებისათვის.

6. ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის იმ საწარმოთა დაფინანსება, რომლებზედაც არა ვრცელდება კანონი ადგილობრივი ტრესტების შესახებ, მოხდება სათანადო საბჭოს ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული უკუდაუბრუნებელი ასიგნების ხარჯზე.

7. ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობისათვის უკუდაუბრუნებელი თანხების მისაცემად ადგილობრივი ბიუჯეტით გადადებული ასიგნები გადაეცემა კომუნალურ ბანკებს ადგილობრივ საბჭოებთან დადებულ განსაკუთრებული ხელშეკრულებების მიხედვით.

8. საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტით ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობისათვის გათვალისწინებული დასაბრუნებელი და უკუდაუბრუნებელი ასიგნები გადაეცემა სსრკ-ის მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკს ამ ბანკის ძირითად დებულებათა (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 42 №-რი, მუხ. 377) მე-8 მუხლის „ა“ პუნქტისა და მე-9 მუხლის წესისამებრ.

9. გრძელვადიანი სესხისა და უკუდაუბრუნებელი თანხების გაცემას ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობისათვის კომუნალური ბანკები აწარმოებენ წლიური გეგმების თანხმად. ამ გეგმებს ბანკები შეადგენენ იმ საწარმოო-საფინანსო ამოცანების შესაბამისად, რაც განსაზღვრულია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. სექტემბრის 5-ს დადგენილებით „სსრკ-ის მრეწველობის ყოველწლიური დაგეგმვის წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 57 №-რი, მუხ. 508). აღნიშნულ გეგმებს დაამტკიცებენ სათანადო აღმასრულებელი კომიტეტები.

10. კომუნალური ბანკები საფინანსო კონტროლს უწევენ ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა მიერ იმ სახსარის ხარჯვას, რასაც ისინი მიიღებენ გრძელვადიანი სესხისა და უკუდაუბრუნებელი თანხების სახით მათთან დადებულ ხელშეკრულებებში განსაზღვრული მიზნითა და ვადით.

11. სესხის ხასიათი, მისი დაფარვის ვადა და პროცენტის რაოდენობა ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის თვითეული საწარმოსათვის განისაზღვრება მისი ეკონომიური და ტეხნიკური მდგომარეობისა, განვითარების პერსპექტივისა და სხვა პირობების მიხედვით; ამასთანავე სესხი შეიძლება გაიცეს ვადით არა უმეტეს 20 წლისა, ხოლო პროცენტი შეიძლება გადახდევინებულ იქნეს არა უმეტეს ხუთი პროცენტისა წლიურად.

12. გრძელვადიან ანაბარებს (მე-4 მუხ.) კომუნალური ბანკები მიიღებენ განსაკუთრებული შეთანხმების საფუძველზე თვითეულ ცალკე შემთხვევაში; ამასთავე, ანაბარის ვადა არ შეიძლება იყოს სამ წელიწადზე ნაკლები, ხოლო პრო-

ცენტი ამ ანაბარებისათვის დაირიცხება არა უმეტეს, ვიდრე ოთხი პროცენტის რაოდენობით წლიურად.

13. სესხის დაფარვისა (მუხ. 5) და ანაბრების მიღების (მუხ. 4) წესი განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით ამა დადგენილების ფარგლებში.

14. ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების ყველა ოპერაციებით მიღებული წმინდა მოგება მიიქცევა ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების სათანადო სპეციალური კაპიტალების გასადიდებლად. ოპერაციებითვე გამოწვეული ზარალი მიეწერება იმავე კაპიტალების ანგარიშს. აღნიშნული ოპერაციების საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად ამ ოპერაციების მოგებიდან გადაირიცხება ბანკის სასარგებლოდ გასამრჯელო ისეთი რაოდენობით, რასაც განსაზღვრავენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები— ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

15. კომუნალური ბანკი პასუხს აგებს მე-4 მუხ. აღნიშნული ანაბრებისათვის მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების ოპერაციების აქტივებით.

16. ამა დებულების წესისამებრ გაცემული გრძელვადიანი სესხის გადახდევინების მიქცევის დროს კომუნალურ ბანკს უპირატესი უფლება აქვს დაკმაყოფილება მიიღოს მოვალის ყველა იმ ქონებიდან, რაც სხვა პირთან არ არის დაგირავებული—ისე, თითქო ეს ქონება ბანკს ჰქონოდეს დაგირავებული. სხვა პირთან დაგირავებული ქონების ღირებულობიდან ბანკი მიიღებს დაკმაყოფილებას უშუალოდ მოგირავნის შემდეგ.

17. უკეთუ კომუნალური ბანკის ლიკვიდაცია მოხდება, ყველა მისი აქტივი და პასსივი, ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურმეურნეობის გრძელვადიანი დეკრეტებისა და უკუდაუბრუნებელი დაფინანსების ოპერაციების მიხედვით, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების თანახმად, გადაეცემა სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ ფილიალს ან კონტორას, ან და სსრკ-ის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკის განყოფილებას.

18. იქ, სადაც რესპუბლიკანური კომუნალური ბანკის ადგილობრივი ფილიალი არ არსებობს, 1-ლ მუხლში აღნიშნული ამოცანები, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების თანახმად, დაეკისრება სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ ფილიალს,რომელიც ასეთ შემთხვევაში მოქმედობს ამა დებულების სათანადო მუხლების თანახმად.

19. ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების ადგილობრივი სპეციალური კაპიტალების გარდა (მე-3 მუხ.), ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში შეიქმნება აღნიშნული მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების რესპუბლიკანური სპეციალური კაპიტალები, რომელთა დანიშნულებაა გრძელვადიანი სესხის მიცემა ადგილობრივი მნიშვნელობის მრე-

წველობისა და ელექტრომეურნეობის საწარმოთათვის მთლად რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

20. გრძელვადიანი დაკრედიტების რესპუბლიკანური სპეციალური კაპიტალების სახსართა შეგროვება, შემოსული და გაცემული თანხების აღნუსხვა, ხელშეკრულობათა დადება, სესხთა სათანადოდ გამოყენებისათვის კონტროლის გაწევა და ამა დებულებაში აღნიშნილი ყველა სხვა ამოცანის აღსრულება დაეკისრება: სომხეთის სსრ-კასა და საქართველოს სსრ-ში რესპუბლიკანურ კომუნალურ ბანკებს, ხოლო აზერბაიჯანის სსრ-ში—სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ ფილიალს.

21. ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების რესპუბლიკანური სპეციალური კაპიტალები შეიქმნება:

ა) რესპუბლიკანური მოწესრიგების ფონდის ასსიგნებისაგან;

ბ) გრძელვადიანი დაკრედიტების ადგილობრივი სპეციალური კაპიტალების დანაგროვის ანარიცხებისაგან—თვითეული გასული წლის დანაგროვის ოცდაცამეტი პროცენტის რაოდენობით;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების რესპუბლიკანური სპეციალური კაპიტალების ოპერაციების მთელი წმინდა მოგებისაგან;

დ) კომუნალური ბანკების წმინდა მოგების ანარიცხებისაგან—ამა თუ იმ ბანკის აქციონერთა საერთო კრების მიერ განსაზღვრული რაოდენობით;

ე) სხვა შემოსავლისაგან, რაც მთავრობის სათანადო ორგანოების დადგენილებით დანიშნულ იქნება ამ მიზნისათვის.

22. ამა დებულების მე-4 მუხ. გათვალისწინებულ სახსართა ნაწილი, ისეთი რაოდენობით, რასაც ყოველწლიურად განსაზღვრავენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თათბირები, უნდა მიიქცეს მე-20 მუხლში აღნიშნული საკრედიტო დაწესებულებების ანაბარებში—ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის საწარმოთათვის გრძელვადიანი სესხის მისაცემად მთლად სათანადო რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

23. ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების რესპუბლიკანური სპეციალური კაპიტალებიდან კრედიტების დანიშვნა მოხდება წლიური საფინანსო გეგმების მიხედვით, რასაც შეიმუშავებენ რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები, ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, და რასაც დაამტკიცებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თათბირები; ამასთანავე, სესხთა ვადებისა და პროცენტების განსაზღვრისათვის სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს ამა დებულების მე-11 მუხლი.

24. ამა დებულების 21 მუხლში აღნიშნული სახსარიდან სესხის გაცემა მოხდება იმ საკრედიტო დაწესებულებათა მეშვეობით, რომელნიც უშუალოდ ანხორციელებენ ამა თუ იმ რაიონის ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიან დაკრედიტებას (ამა დებულების 1-ლი და მე-18 მუხლები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 169 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

173. სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში, კოოპერატიულ ორგანიზაციაში, საჯაქციო საზოგადოებაში და სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ შერეულ საზოგადოებაში სამსახურის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში სამსახურის შესახებ“ 1923 წ. სექტემბრის 27-ს თარიღითა და 94 №-ით გამოცემული დადგენილებისა (ა/კსფსრ კან. კრ. 1923 წ. მე-11 №-რი, 204 მუხ.) და „ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში სამსახურის თაობაზე 1923 წ. სექტემბრის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ“ 1928 წ. დეკემბრის 22 თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. 1-ლი №-რი, მუხლი მე-5) გასაუქმებლად და „სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატის გაწმენდის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივნისის 7-ს დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 35 №-რი, მუხ. 313) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ის პირი, რომელსაც სასამართლო განაჩენით აყრილი აქვს სახელმწიფო ორგანოს და კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის სამსახურში ყოფნის უფლება, არ შეიძლება მიღებულ იქნეს ასეთ სამსახურში განაჩენით განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

2. ის პირი, რომელსაც, „სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატის გაწმენდის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივნისის 1-ის დადგენილების წესისამებრ, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს მიერ გამოტანილი დადგენილებით აყრილი აქვს სახელმწიფო ორგანოს და კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის სამსახურში ყოფნის უფლება, არ შეიძლება მიღებულ იქნეს ასეთ სამსახურში მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს დადგენილებით განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

3. აკრძალულია კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთსა და იმავე დაწესებულებასა და საწარმოში იმ პირთა სახელმწიფო სამსახური, რომელნიც დაკავშირებულ არიან ერთმანეთთან ნათესაობით ან თავისიანობით (მშობლები, მეუღლენი, ძმები, დები, ვაჟიშვილები, ქალიშვილები და აგრეთვე — მეუღლეთა ძმები, დები, მშობლები და შვილები), უკეთუ მათი სამსახური ერთსადაიმავე დროს შეერთებულია ერთი-მეორისადმი ხელქვეითობასა ან კონტროლქვეითობასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. მე-3 მუხლით დადგენილი წესის გამონაკლისი შეიძლება იმ პირთა მიმართ, რომელთაც სახელქვეითო და საკონტროლქვეითო თანამდებობა არჩევანით უჭირავთ.

4. იმ პირს, ვინც კოოპერატიული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელმწიფო სამსახურშია, ეკრძალება, პირადად ან შენაცვლებული პირის მეშვეობით, იყოს რომელიმე კერძო სავაჭრო თუ სამრეწველო საწარმოს მონაწილე, აწარმოოს ნარდად მუშაობა და ყიდვა-მიწოდება, მონაწილეობა მიიღოს სამრეწველო იჯარის ხელშეკრულობაში და ამა თუ იმ ფორმით კომერციული ხასიათის ურთიერთობა იქონიოს სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოსთან და აგრეთვე გასწიოს ვექილობა მესამე პირისა იმ დაწესებულების საქმეში, სადაც იგი (ვექილი) მსახურობს.

5. თანამდებობათა შეთავსება რამდენსამე სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში შეიძლება მხოლოდ ამ დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელების შეთანხმებით, ხოლო სახელმწიფო სამსახურისა და კერძო დაწესებულებასა და საწარმოში სამსახურის შეთავსება აკრძალულია.

6. თანამდებობის შეთავსება სახელმწიფო დაწესებულებასა თუ საწარმოში, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციაში სხვა თანამდებობასთან ერთსადაიმავე თუ სხვადასხვა დაწესებულებასა ან საწარმოში არ შეიძლება, უკეთუ ამ დაწესებულებათა, საწარმოთა ან შესათავსებელ თანამდებობათა შორის არსებობს:

ა) საკონტროლო დამოკიდებულება;

ბ) საადმინისტრაციო-სამეურნეო დამოკიდებულება.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული შეზღუდვა არა ვრცელდება მთავრობის წარმომადგენელის თანამდებობის დაჭერაზე სააქციო საზოგადოებისა და სხვა, სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით მოწყობილი, სამეურნეო შენაერთის საბჭოსა, გამგეობასა და სარევიზიო ორგანოში.

7. მილიციისა და სისხლის სამართლის სამძებრო მილიციის მოსამსახურეებისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, შრომის ინსპექციისა და მოკვლევის ორგანოს უფლების მქონე სხვა საუწყებო ინსპექციის ინსპექტორებისა და კონსულტანტებისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსპექტორებისა და აგენტებისა—პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების აკრეფის ხაზით, სახალხო გამომძიებლებისა და სახალხო მოსამართლეებისა, სასამართლო დაწესებულებისა და სამხედრო ტრიბუნალის კოლეგიის წევრებისა, საპროკურორო ზედამხედველობის პირებისა და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თანამშრომლების თანამდებობათა შეთავსება შეიძლება მხოლოდ თავთავისი უწყების ფარგლებში და მარტოოდენ უწყების მეთაურის სპეციალური ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

შენიშვნა. მიენდოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს შეადგინოს ერთი კვირის ვადაზე ნუსხა იმ თანამდებობებისა და მოსაქმეობისა, რომელთა ერთსადაიმავე დროს აღსრულება ჩაითვლება შეთავსებად მე-6 და მე-7 მუხლების აზრის მიხედვით.

8. დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც მიიღებს ან სამსახურში დასტოვებს ამა თუ იმ პირს ამა დადგენილების წესების დარღვევით, პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც სამსახურებრივი დანაშაულობისათვის.

9. ის პირი, ვინც სამსახურში მიღებულ იქნება ამა დადგენილებით განსაზღვრული წესების დარღვევით, დათხოვნილ უნდა იქნეს წინასწარ შეუტყობინებლად და უკომპენსაციოდ.

სამსახურში წინად მიღებული პირი, რომლის სამსახურში დატოვება ეწინააღმდეგება ამა დადგენილებას, დათხოვნილ უნდა იქნეს შრომის კანონთა კოდექსის 88 მუხლის მიხედვით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. აგვისტოს 15. ტფილისი—სასახლე

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

174. „ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტებისა და უკუდაბრუნებელი დაფინანსების წესის“ თაობაზე გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 25-ს დადგენილების დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გაუქმებულ იქნეს:

ა) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. იანვრის 17-ს დადგენილება „ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფ საწარმოთა ფინანსიურად მოგვარებისათვის სპეციალური სამრეწველო ფონდის დაარსებისა, დახარჯვისა და შენახვის წესის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-2 №-რი, მუხ. მე-18);

ბ) ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების—1926 წ. აგვისტოს 9-ს—დებულების 77 მუხლი (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697).

2. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების—1926 წ. აგვისტოს 9-ს—დებულების 76 მუხლიდან (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) ამოიშალოს სიტყვები: „სამრეწველო ფონდები“.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ:

ა) შეიტანონ რესპუბლიკების კანონმდებლობაში ის ცვლილებები, რაც გამომდინარეობს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1929 წ. ივლისის 25-ს დამტკიცებული დებულებიდან „ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტებისა და უკუდაუბრუნებელი დაფინანსების წესის შესახებ“;

ბ) უზრუნველჰყონ კომუნალურ ბანკებში, ხოლო სათანადო შემთხვევაში— სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ ფილიალებში აღნიშნული დებულების მე-3 და მე-4 მუხლებით დადგენილი ანარიცხების შეტანა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. აგვისტოს 19. ტფილისი—სასახლე.

ინსტრუქცია № 7 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1929 წ. სექტემბრის 26.

175. „მუშათა ფაკულტეტების სტუდენტებისათვის სამუშაო დღის შემცირების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ს დადგენილების შეფარდების წესის შესახებ.

(გამოცემულია „მუშათა ფაკულტეტების სტუდენტებისათვის სამუშაო დღის შემცირების შესახებ“ გამოქვეყნებული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ს დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად).

1. მუშათა ფაკულტეტების სტუდენტებისათვის დამატებითი სასყიდლის მიცემა ორი სათისა და ერთი საათისათვის, აგრეთვე ორი კვირისათვის გამოცდების დროს,—„მუშათა ფაკულტეტების სტუდენტებისათვის სამუშაო დღის შემ-ცირების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ს დადგენილების 1-ლი, მე-2 და მე-3 მუხლების წესისამებრ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ- მე-14 №-რი, მუხ. 117), მოხდება მათი საშუალო სამუშაო ხელფასის მიხედვით.

2. ა) მუშათა ფაკულტეტის სტუდენტების განთავისუფლებას ყოველდღე ორი საათით რვა საათის სამუშაო დღიან დაწესებულებასა და საწარმოში, სადაც ისინი მუშაობენ, ხოლო ყოველდღე ერთი საათით—შვიდი საათის სამუშაო დღიან დაწესებულებასა და საწარმოში, აგრეთვე მათსავე განთავისუფლებას ორი კვირით სასწავლო წლის განმავლობაში გამოცდების დროს—აწარმოებს დაწესებულებისა და საწარმოს ადმინისტრაცია თანახმად იმ სასწავლებლის სათანადო ცნობისა, სადაც მუშათა ფაკულტეტის სტუდენტი სწავლობს;

ბ) მუშათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის მისაცემი, ამა ინსტრუქციის 1-ლ მუხლში აღნიშნული ორი კვირა არ ჩაითვლება მორიგ შვებულებაში;

გ) სასწავლებლის ცნობა გამოცდების დაწყების თაობაზე მუშათა ფაკულტეტის სტუდენტებმა უნდა წარადგინონ საწარმოსა თუ დაწესებულებაში შვიდი დღით ადრე გამოცდების დაწყებამდე.

3. მეთვალყურეობა ამა ინსტრუქციის აღსრულებისათვის დაეკისრება შრომის ადგილობრივ ორგანოებს.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრის
მაგიერ **შახსუვარიანი.**

საორგანიზაციო-უფლებრივი
განყოფილების გამგე **იაროსლავსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 226 №-ში 1929 წ. ოქტომბრის 2-ს.

ЦИРКУЛЯРИ № 21 А/КСФСР ШРОМИС САХАЛХО КОМИСАРИАТИСА.

1929 წ. ოქტომბრის 2.

176. შრომის დაცვის ღონისძიებათა შეუსრლებლობისათვის საწარმოთა ადმინისტრაციის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

შრომის პირობების გეგმიანად გასაჯანსაღებლად, ტრავმატიზმის შესამცირებლად, შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად და მრეწველობის რეკონსტრუქციისათვის ხელის შესაწყობად—შრომის დაცვის ორგანოებმა, მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, უნდა დასდვან სამეურნეო ორანოებთან ხელშეკრულობანი საწარმოში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად საჭირო კაპიტალურ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რისთვისაც ყოველწლიურად გამოიყოფა სპეციალური სახსარი. ამ ღონისძიებათა შესრულება 1927-28 წლის ხელშეკრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობების მიხედვით სამეურნეო წლის დასასრულისათვის არ იყო საკმარისი და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატმა მისცა შრომის დაცვის ორგანოებს მრავალრიგი დირექტივები, რათა მათ საჭირო ღონისძიებანი მიეღოთ 1928-29 წლის ხელშეკრულობების მიხედვით გადადებული სახსარის რაციონალურად და თავის დროზე გამოყენებისათვის.

მაგრამ, მიუხედავად ამ წინადადებებისა, შრომის დაცვის ორგანოებმა არ გამოიჩინეს საკმარისი სიმტკიცე და კონტროლი აღნიშნულ ხელშეკრულებათა აღსრულების საქმეში. წინასწარი ცნობებით, რაც ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატში მოიპოვება, 1928-29 წლის ცხრა თვის განმავლობაში აღნიშნული სახსარი გამოყენებულია უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე 1927-28 წელს; მაგალითად: აზერბაიჯანის სსრ-ში ამა წლის ივლისის 1-თვის გამოყენებულია მთელი თანხის ოცდაცხრამეტი პროცენტი, ხოლო ზოგიერთ ცალკეულ საწარმოში—ორი-სამი პროცენტი. საქართველოს სსრ-ში 1928-29 წლის სახსარიდან ამა წლის ივლისის 1-თვის დახარჯულია ათი პროცენტი; ასევეა სომხეთის სსრ-ში.

ასეთი უგულველობა სამეურნეო ორგანოების მიერ შრომის დაცვის ღონისძიებებისა ყოვლად მიუღებელია, რადგანაც იგი ძირს უთხრის მთელ იმ მუშაობას, რაც ამ სფეროში სწარმოებს. ამის გამო ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი იმ მიზნით, რათა აღკვეთილ იქნეს შემდეგში ამგვარი მოპყრობა შრომის გაჯანსაღებისა და დაცვის საკითხებისადმი, რომლებიც დამტკიცებულია ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ, წინადადებას აძლევს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს:

1) პასუხისგებაში მისცენ ყველა ის თანამდებობის პირი, რომელმაც არ შეასრულა 1928-29 წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმაში და ხელშეკრულობებში გათვალისწინებული შრომის დაცვის ღონისძიებანი; ამასთანავე, იმ დამნაშავე პირთა წინააღმდეგ, რომელთაც განსაკუთრებული ბოროტი განზრახვით დაარღვიეს ხელშეკრულობა, ამა თუ იმ საწარმოში და მუშათა კლუბებში უნდა მოეწყოს საჩვენებელი პროცესები;

2) ყოველკვირა წარმოადგინონ ხოლმე ა/კსფსრ შრომის სსხალხო კომისარიატში ცნობები ამა ცირკულიარის აღსრულების შესახებ, იმ საწარმოთა და პირთა ნუსხის აღნიშვნით, რომელნიც პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი და შრომის დაცვის განყ. გამგე **შახხუვარიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 228 №-ში 1929 წ. ოქტომბრის 4-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

177. საბინაო კოოპერაციაზე „ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისა და ჯარების თანამშრომელთა და თავმდგომთა შედგენილობის საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 19-ს დადგენილების 1-ლი მუხლის მოქმედების გავრცელების შესახებ.

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

განმარტებულ იქნეს, რომ „ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისა და ჯარების თანამშრომელთა და თავმდგომთა შედგენილობის საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 19-ს დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-16 №-რი, მუხ. 143) 1-ლი მუხლის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ იჯარით აღებულ სახლებზედაც, იმ სახლების გამოკლებით, რომლებიც აგებულია, აღდგენილია და შენებით დამთავრებულია მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. ოქტომბრის 7. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

178. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების—1926 წ. აგვისტოს 9-ს—დებულებაში (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებას დაემატოს მე-7^1 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 7^1. იმ შემთხვევაში, როდესაც, ამა დებულების მე-6 და 7 მუხ. წესისამებრ, სსრკ-ის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯი გადაიტანება ადგილობრივ ბიუჯეტზე ან წინაუკმოდ, ამ გარემოებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ანგარიშგასწორება სსრკ-ის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტსა და ადგილობრივ ბიუჯეტს შორის მოხდება:

ა) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტში მოთავსებული სასუბვენციო და სადოტაცო ფონდების ხარჯზე; თანაც, უკეთუ ხარჯი ადგილობრივ ბიუჯეტზე იქნა გადატანილი, აღნიშნული ფონდების შედგენილობაში გამოიყოფა განსაკუთრებული მიზნობრივი დახმარება;

ბ) ამა დებულების 23 მუხლში განსაზღვრული სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხების შეცვლით სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისამებრ“.

2. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-20 მუხლის 1-ლი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა 1.** მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნაწილებისა და დაწესებულებებისათვის კომუნალური მომსახურეობის გასაწევად საჭირო ხარჯები, აგრეთვე კარვობის მოწყობისა და მომსახურეობის ხარჯები მიეკუთვნება სახელმწიფო სახსარს. კომუნალური მომსახურეობის სასყიდლის ნიხრს დაადგენენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შინაგან-საქმეთა სახალხო კომისარიატები სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) შეთანხმებით“.

3. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 მე-9 №-რი, მუხ. 101) 21 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

4. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 23 მუხლს დაემატოს „$კ^1$“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„კ[1]) ანარიცხი მოგების ნაწილისა, რაც შედის იმ საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სამრეწველო ტრესტების შემოსავალში, რომლების შედგენილობაშიაც 1929 წ. ივლისის 1-დან შეტანილ არიან ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმონი. ანარიცხების რაოდენობა განისაზღვრება ყოველ წლივ სათანადო ტრესტის მოგების განაწილების დროს შემდეგი თანხების პროპორციული შეფარდებით:

ა) ის თანხები, რაც, ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოს საგადასაცემო ბალანსის მიხედვით, შეადგენს მის საწესდებო კაპიტალს; ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული უკუდაუბრუნებელი დაბანდება, რაც საწესდებო კაპიტალში არ შესულა, და ადგილობრივი წყაროდან გაცემული გრძელვადიანი სესხი;

ბ) ის თანხები, რაც,—საერთო-საკავშირო ან რესპუბლიკანური მნიშვნელობის ტრესტის მოგების განაწილების წლიური ბალანსის თანახმად,—შეადგენს ტრესტის საწესდებო კაპიტალს; სსრკ-ის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით და ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული უკუდაუბრუნებელი დაბანდება, რაც საწესდებო კაპიტალში არ შესულა, და ყველა წყაროებიდან გაცემული სესხი.

შენიშვნა. არსებული დადგენილებანი სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის იმ საწარმოთა მოგების განაწილების შესახებ, რომელნიც მოწყობილ არიან ზემოაღნიშნული გაერთიანების წესით, ძალაში რჩებიან“.

5. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 28 მუხლს (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 22 №-რი მუხ. 264) დაემატოს პუნქტი „ზ[2]“ შემდეგი შინაარსისა:

„ზ[2]) მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კულტურულ-განმანათლებელი და სასპორტო დაწესებულებანი და აგრეთვე მათ მიერ გამართული საჯარო სანახაობანი და შეჯიბრებანი“.

6. ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლები შემოღებულ იქნეს სამომქმედოდ 1929 წ. ოქტომბრის 1-დან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. ოქტომბრის 7. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 165 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

179. ა/კსფსრ საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანის შესახებ.

რათა დამყარებულ იქნეს თანაბარი წესი საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადასვლისათვის და ზედმიწევნითი კონტროლი გაეწიოს სსრკ-ისა და ა/კსფსრ მთავრობის უაღრესი მნიშვნელობის ღონისძიებების განხორციელებას საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობის რეორგანიზაციის სფეროში,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან, ამხ. იაშვილის თავმჯდომარეობით, მთავრობის ცენტრალური კომისია ა/კსფსრ საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადაყვინისათვის; კომისიის შედგენილობაში შევლენ: ამხანაგნი ამბარცუმიანი, ვარძიელი, გენკინი, ხარაბაძე და შავერდოვი.

2. სახალხო კომისარიატნი, საწარმონი და დაწესებულებანი ა/კსფსრ ტერიტორიაზე შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადადიან მხოლოდ 1-ლ მუხლში აღნიშნული მთავრობის კომისიის დადგენილების მიხედვით.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს მოაწყონ ანალოგიური კომისიები, რომელთაც დაავალონ წარუდგინონ ხოლმე საბოლოო დამტკიცებისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისარიატთან არსებულ ცენტრალურ კომისიას თავიანთი დადგენილებანი საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადასვლის წესის შესახებ.

4. ა) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1929 წ. აგვისტოს 19-ს დამტკიცებული „ა/კსფსრ სამრეწველო საწარმოთა შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადაყვანისათვის დაარსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისიის დებულების“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-17 №-რი, მუხ. 145) მე-III მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „ამიერკავკასიის ზემოაღნიშნული საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილებანი მისი კომპეტენციის საგნების შესახებ წარედგინება საბოლოო დამტკიცებისათვის ა/კსფსრ საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავრობის ცენტრალურ კომისიას“.

ბ) აღნიშნული დებულების მე-IV მუხლი გაუქმებულ იქნეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ნაზარეთიანი**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ოქტომბრის 4. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 229 №-ში 1929 წ. ოქტომბრის 5-ს.

დადგენილება № 1 ა/კსფსრ საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის მთავრობის კომისიისა.

1929 წ. ოქტომბრის 9.

180. ა/კსფსრ სამრეწველო საწარმოთა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანის წესის შესახებ.

შეუწყვეტელ წარმოებაზე სამრეწველო საწარმთთა გეგმაშეწონილად და დროზე გადაყვანის საქმის მოწესრიგებისა და უზრუნველყოფისათვის—საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანისათვის არსებული ამიერკავკასიის მთავრობის კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ა/კსფსრ სამრეწველო საწარმოთა შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადაყვანითვის არსებულ საუწყებათაშორისო კომისიას:

ა) სამრეწველო საწარმოთა შეუწყვეტილ წარმოებაზე გადაყვანა ანხორციელოს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული მთავრობის ცენტრალური კომისიის 1929 წ. სექტემბრის 18-ს დადგენილების შესაბამისად („სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია"-ს 218 №-რი 1929 წ. სექტემბრის 21-სა);

ბ) შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული მთავრობის ცენტრალური კომისიის 1929 წ. სექტემბრის 18-ს დადგენილების 1-ლი მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ საწარმოთა გადაყვანის ცნობები წარუდგინოს ხოლმე ყოველივე საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანისათვის არსებულ ამიერკავკასიის მთავრობის კომისიას;

გ) ცნობები იმ საწარმოთა შესახებ, რომელნიც გადაყვანილ უნდა იქნენ შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული მთავრობის ცენტრალური კომისიის 1929 წ. სექტემბრის 18-ს დადგენილების 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილისა და მე-2 მუხლის თანახმად, წარუდგინ ის ხოლმე ამიერკავკასიის მთავრობის კომისიას სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში გასაგზავნად;

დ) მრეწველობის სხვა დარგების საწარმოთა გადაყვანა განახორციელოს ხოლმე ამიერკავკასიის მთავრობის კომისიის ბიერ საბოლოო დამტკიცების შემდეგ.

2. სამუშაო დრო შეუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანილ საწარმოში მოწესრიგებულ უნდა იქნეს სრული შესაბამისობით სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. სექტემბრის 24-ს დადგენილებასთან „შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადასაყვან საწარმოთა და დაწესებულებათა სამუშაო დროისა და დასვენების დროის შესახებ" („სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია"-ს 221 №-რი 1929 წ. სექტემბრის 25-სა).

3. სამრეწველო საწარმოთათვის დაწესებულია ხუთდღიანი სამუშაო კვირა; ამის გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ „შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადა-

საყვან საწარმოთა და დაწესებულებათა სამუშაო დროისა და დასვენების დროის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. სექტემბრის 24-ს დადგენილების 1-ლი მუხლის წესისამებრ.

4. ყოველი საწარმო, რომელიც 1929-30 წელს გადაყვანილ უნდა იქნეს შეუწყვეტელ წარმოებაზე, მოვალეა წარუდგინოს სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ განყოფილებას ცნობები, რაც აღნიშნულია ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის ა/წ. სექტემბრის 16-ს თარიღისა და 88 №-ის დადგენილებაში „შეუწყვეტელ წარმოებაზე გადასასვლელად დანიშნულ საწარმოთა და დაწესებულებათა უზრუნველსაყოფად მუშაძალის კვალიფიციური კადრების მომზადებისა და რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან სათანადო საუწყებო კომისიების მოწყობის შესახებ“ („ზარია ვოსტოკა“-ს 27 №-რი 1929 წ. სექტემბრის 21-სა).

საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ
წარმოებაზე გადაყვანისათვის არსებული ამიერ-
კავკასიის მთავრობის კომისიის თავმჯდომარე **იაშვილი.**

პასუხისმგებელი მდივანი **შახნაზაროვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 233 №-ში 1929 წ. ოქტომბრის 10-ს.

დადგენილება № 166 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

181. ა/კსფსრ-ის სასაწყობო სადგომებით უზრუნველყოფისა და პურეული და სასურსათო ტვირთის გადაზიდვის მოწესრიგების შესახებ.

ა/კსფსრ ტერიტორიაზე პურეულის დამზადების საქმის მოწესრიგებისათვის, განსაკუთრებით პურეულის დამმზადებელი ორგანიზაციების მიერ განაცადი სასაწყობო სადგომებისა და ტარას ნაკლებობის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე პურეულის ტვირთის გადაზიდვის სფეროში მოსალოდნელ დაბრკოლებათა დასაძლევად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს პურეულის დამზადების კამპანიის დროისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მთავრობის კომისია ამხ. ამხ. ბუკრეევისა, რედენსისა და ხაჩიევის შედგენილობით.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ კომისიას დაეკისროს ყველა იმ საკითხის გადაწყვეტა, რაც დაკავშირებულია პურეულის დამზადების საქმის უზრუნველყოფასთან სასაწყობო სადგომებით და ტარათი, აგრეთვე პურეული ტვირთის რკინის გზებით და წყალსავალი გზებით გადაზიდვასთან.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული კომისიის განკარგულებანი სავალდებულოა ყველა ორგანოსა და პირისათვის.

4. იმ ადგილებში, სადაც პურეულის დამმზადებელი ორგანიზაციები განიცდიან სასაწყობო სადგომების ნაკლებობას, 1-ლ მუხლში აღნიშნული კომისიის დადგენილებით, ამ ორგანიზაციებს შეიძლება გადაეცეს იმავე ადგილებში მდებარე სასაწყობო სადგომები სხვა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისა. აუცილებელ შემთხვევაში იმავე მიზნით გამოყენებულ უნდა იქნეს სხვა, არასასაწყობო სადგომებიც.

5. 1-ლ მუხლში აღნიშნულ კომისიას უფლება აქვს პურეულის დამზადების კამპანიისათვის დროებით, მის მიერ განსაზღვრულ პირობებზე, ჩამოართვას სა-

ხელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს მათ ხელთ ქონებული ტარა (ტომრები და ბრეზენტები).

6. 1-ლ მუხლში აღნიშნული კომისიის განკარგულების აღუსრულებლობაში ან არაზედმიწევნით აღსრულებაში დამნაშავე პირი მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში ადმინისტრატიული წესით ან, სათანადო შემთხვევაში, დევნილ უნდა იქნეს სასამართლო წესით.

7. სასწრაფო შემთხვევაში, როდესაც საქმის გადადება არ შეიძლება, ადგილობრივ საჭირო ღონისძიებების მისაღებად, ზემოაღნიშნული უფლებანი მიეცემა კომისიის თვითეულ წევრს ცალ-ცალკე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ოქტომბრის 12. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 236 №-ში 1929 წ. ოქტომბრის 13-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

182. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადაყვანის შესახებ.

„სსრკ-ის საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლის შესახებ" გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 26-ს დადგენილებისა (სსრკ-ის კან. კრ. 54 №-რი, მუხ. 502) და „შეუწყვეტელ წარმოების კვირაზე გადასაყვან საწარმოთა და დაწესებულებათა სამუშაო დროისა და დასვენების დროის შესახებ" გამოცემული იმავე საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 24-ს დადგენილების („სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია"-ს 221 №-რი) შესაბამისად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1929 წ. ოქტომბრის 14-დან ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მუშაობა და მათი სამომსახურეო აპარატის მუშაობა გადატანილ იქნეს შეუწყვეტელ ხუთდღიან სამუშაო კვირაზე შვიდსაათიანი სამუშაო დღის დაწესებით (ნახევარი საათით მუშაობის შეწყვეტის ჩათვლით).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. ოქტომბრის 12. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 236 №-ში 1929 წ. ოქტომბრის 13-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 165 დაიბეჭდა 800.